

უზუფრუქტის ხელშეკრულება

ბათუმი

2010 წ.

უზუფრუქტის ხელშეკრულება

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქ. ბათუმი

15 ივლისი 2010 წ.

ერთის მხრივ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო (შემდგომში "მესაკუთრე"), იურიდიული დეპარტამენტის უფროსის ოლეგ ბოლქვაძის (დაბადებული 1976 წლის 13 მაისს მახარაბეში, მცხოვრები ქ. ბათუმში, ვაჟა-ფშაველას ქ. #52, ბინა #107; პირადი N33001027316, პირადობის მოწმობა Nგ 0889614, გაცემული 31.03.2006 წ. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ბათუმის სამსახურის მიერ) სახით, მოქმედი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის რაემჯდომარის 2010 წლის 24 ივნისის N127 ბრძანებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2010 წლის 7 ივლისის N524 ბრძანებით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე და, მეორეს მხრივ, შპს „აჭარინვესტ-ჩაი“ (შემდგომში - „უზუფრუქტუარი“) დირექტორის ნადიმ დიდმანიძის (დაბადებული 05.08.1964 წ. მცხოვრები ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფ. მარადიდი. პირადი N61006013959, პირადობის მოწმობის Nგ 1248190, გაცემული სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ხელვაჩაურის სამსახურის მიერ 19.02.2009 წ.) სახით, მოქმედი წესდების საფუძველზე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 07.07.2010 წლის N524 ბრძანების საფუძველზე, ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. «მესაკუთრე» გადასცემს, ხოლო «უზუფრუქტუარი» სარგებლობის უფლებით იღებს უძრავ ქონებას, კერძოდ:

N	მისამართი	ფართობი კვ.მ.	საკადასტრო კოდი
1	ხელვაჩაური, სოფელი ხე-ყრუ	2262	22.23.07.047
2	ხელვაჩაური, სოფელი ხე-ყრუ	2997	22.23.07.048
3	ხელვაჩაური, სოფელი ხე-ყრუ	2065	22.23.07.049
4	ხელვაჩაური, სოფელი ხე-ყრუ	2176	22.23.07.050

5	ხელვაჩაური, სოფელი ხე-ყრუ	2730	22.23.07.051
6	ხელვაჩაური, სოფელი ხე-ყრუ	3581	22.23.07.052
7	ხელვაჩაური, სოფელი ხე-ყრუ	2337	22.23.07.053
8	ხელვაჩაური, სოფელი ხე-ყრუ	1432	22.23.07.054
9	ხელვაჩაური, სოფელი ხე-ყრუ	945	22.23.07.055
10	ხელვაჩაური, სოფელი ხე-ყრუ	1805	22.23.07.056
11	ხელვაჩაური, სოფელი ხე-ყრუ	7347	22.23.07.057
12	ხელვაჩაური, სოფელი ხე-ყრუ	9004	22.23.07.058
13	ხელვაჩაური, სოფელი ხე-ყრუ	8033	22.23.07.059
14	ხელვაჩაური, სოფელი ხე-ყრუ	7836	22.23.07.060
15	ხელვაჩაური, სოფელი ხე-ყრუ	10979	22.23.07.061
16	ხელვაჩაური, სოფელი ხე-ყრუ	2503	22.23.07.062
17	ხელვაჩაური, სოფელი ხე-ყრუ	5230	22.23.07.063
18	ხელვაჩაური, სოფელი ხე-ყრუ	13716	22.23.07.064
19	ხელვაჩაური, სოფელი ხე-ყრუ	24550	22.23.07.065
20	ხელვაჩაური, სოფელი ხე-ყრუ	10389	22.23.07.066
21	ხელვაჩაური, სოფელი ხე-ყრუ	3844	22.23.07.067
22	ხელვაჩაური, სოფელი კირნათი	21252	22.32.01.021
23	ხელვაჩაური, სოფელი კირნათი	23379	22.32.01.030
24	ხელვაჩაური, სოფელი კირნათი	57542	22.32.01.034
25	ხელვაჩაური, სოფელი კირნათი	20237	22.32.02.203
26	ხელვაჩაური, სოფელი კირნათი	104642	22.32.02.205
27	ხელვაჩაური, სოფელი კირნათი	109110	22.32.02.206

28	ხელვაჩაური, სოფელი კირნათი	3755	22.32.02.207
	სულ ჯამი	465678 კვ.მ.	

1.2. ხელშეკრულებას თან ერთვის ქონების მიღება-ჩაბარების აქტი, რომელიც ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

1.3. 1 ჰა ჩაის ნარგავების საბაზრო ღირებულება, 08.07.2010 წ. დამოუკიდებელი აუდიტორული დასკვნის #01/390 საფუძველზე, წარმოადგენს 327,86 ლარს, სულ ჩაის ნარგავების ღირებულება შეადგენს 15 268 ლარს. ნარგავებით დაკავებული მიწის ნაკვეთის ნორმატიული ღირებულება შეადგენს 20 491 ლარს. სულ ქონების ღირებულება შეადგენს 35 759 ლარს.

2. გადაცემული ქონების უზუფრუქტის სასყიდელი და გადახდის წესი

2.1. უზუფრუქტით გადაცემული ქონების სარგებლობისათვის უზუფრუქტუარი უხდის მესაკუთრეს სასყიდელს.

2.2. სასყიდლის ოდენობა შეადგენს წელიწადში 2050 (ორი ათას ორმოცდაათი) ლარს, რომელიც გადახდილი იქნება არაუგვიანეს ყოველი წლის 1 დეკემბრისა.

2.3. სასყიდლის გადახდა უზუფრუქტუარს არ ათავისუფლებს მიწით სარგებლობისათვის საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი გადასახადისა და საქართველოს კანონმდებლობით დაწესებული სხვა გადასახდელებისაგან.

3. მხარეთა უფლება-მოვალეობანი, სანქციები

3.1 "მესაკუთრე" ვალდებულია «უზუფრუქტუარს» სარგებლობის უფლებით გადასცეს ინამდებარე ხელშეკრულების "1.1 მუხლში" აღნიშნული ქონება.

3.2 „უზუფრუქტუარი“ ვალდებულია:

ა) ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 წლის ვადაში ჩაატაროს უზუფრუქტით გადაცემულ მიწის ნაკვეთებზე არსებული ჩაის პლანტაციების აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოები, კერძოდ: ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 წლის ვადაში განახორციელოს ჩაის მძიმე გასხვლა-გაწმენდა, სადაც 2010 წლის აგვისტოდან სეზონურად დაასაქმოს არანაკლებ 50 საქართველოს მოქალაქე, ხოლო შემდეგი 3 წლის ვადაში აღადგინოს ჩაის პლანტაციების სრული მოსავლიანობა და დამატებით სეზონურად დაასაქმოს არანაკლებ 100 საქართველოს მოქალაქე; შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 წლის გასვლის შემდეგ სეზონურად პლანტაციებში დაასაქმოს არანაკლებ 200 საქართველოს მოქალაქე, ასევე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში სარგებლობაში გადაცემულ

მიწის ნაკვეთებზე შეინარჩუნოს ჩაის კულტურა და ჩაის პლანტაციებში და საწარმოში დასაქმებულთა რაოდენობა.

გ) ვადაში გადაიხადოს სარგებლობის უფლებით აღებული ქონების საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი გადასახადები და საქართველოს კანონმდებლობით დაწესებული სხვა გადასახდელები;

დ) დაუყოვნებლივ აცნობოს მესაკუთრეს, თუ ქონება განადგურდა, დაზიანდა ან მის შესანახად წარმოიშვა გაუთვალისწინებელი ხარჯები;

3.3 „მესაკუთრეს“ შეუძლია გააუქმოს წინამდებარე ხელშეკრულება, თუ უზუფრუქტუარი:

- დანიშნულებისამებრ არ იყენებს გადაცემულ ქონებას და არღვევს ხელშეკრულების პირობას;

- განზრახ ან დაუდევრობით აუარესებს ქონების მდგომარეობას;

- საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

3.4. 3.3 მუხლში აღნიშნული მიზეზების წარმოშობის შემთხვევაში, „მესაკუთრე“ ორი კვირით ადრე წერილობით აცნობებს „უზუფრუქტუარს“ ხელშეკრულების გაუქმების შესახებ და თუ ამ ვადაში უზუფრუქტუარმა არ წარმოადგინა ხელშეკრულების გაუქმების მიზეზების აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტი, მესაკუთრე უფლებამოსილია ცალმხრივად გააუქმოს ხელშეკრულება.

3.5 „უზუფრუქტუარი“ ვალდებულია აანაზღაუროს მიმდინარე ხარჯები, აგრეთვე იზრუნოს ქონების ნორმალური სამეურნეო მოვლისათვის;

3.6. წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში „უზუფრუქტუარს“ ეძლევა წერილობითი გაფრთხილება, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და ჯარიმდება:

ა) უზუფრუქტის სასყიდლის გადაუხდელობის შემთხვევაში – სასყიდლის 0,1% დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

ბ) ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში – ქონების ღირებულების 10%-ს ოდენობით.

3.7 ხელშეკრულების პირობათა დარღვევის განმეორებით გამოვლენის შემთხვევა და დაწესებულ ვადაში ჯარიმის გადაუხდელობა განიხილება ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის ინიციატივად „მესაკუთრის“ მიერ. „უზუფრუქტუარს“ არ უნაზღაურდება მის მიერ გადახდილი თანხა და გაწეული სხვა დანახარჯები.

4. ხელშეკრულების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთები უზუფრუქტის უფლებით გაიცემა 2045 წლის 1 ივლისამდე.

5. ქონების გასხვისება, სარგებლობაში გადაცემა და დატვირთვა

5.1. უზუფრუქტუარს უფლება არა აქვს სარგებლობაში გადაცემული ქონება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში სარგებლობის უფლებით გადასცეს (მათ შორის გააქიროს, იჯაროს, თხოვნის ფორმით გადასცეს) ან სხვაგვარად დატვირთოს მესაკუთრესთან შეთანხმებლად.

5.2. ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას მესაკუთრე და უზუფრუქტუარი ინარჩუნებენ ურთიერთნაკისრ ვალდებულებებს.

6. მხარეების პასუხისმგებლობა და დავის გადაწყვეტის წესი

6.1 უსასყიდლო სარგებლობის ხელშეკრულება შეიძლება გაუქმდეს მხარეთა შეთანხმებით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

6.2 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ხელშეკრულების შეცვლის ან გაუქმების თაობაზე უზუფრუქტუარსა და მესაკუთრეს შორის წამოჭრილ სადაო საკითხებს განიხილავენ მხარეები, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას წყვეტს სასამართლო.

6.3 უსასყიდლო სარგებლობის ხელშეკრულება შეწყვეტილად ითვლება, თუ ქონება განადგურდა უზუფრუქტუარის დამოუკიდებელი მიზეზების გამო და აღარ გამოდგება გამოსაყენებლად.

6.4 თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებანი არ სრულდება ან არასათანადოდ სრულდება, მხარეები პასუხს აგებენ მოქმედი კანონმდებლობისა და წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად.

მუხლი 7. ფორს-მაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არადროული შესრულების პასუხისმგებლობისაგან, თუკი აღნიშნული შეუსრულებლობა გამოწვეული იქნა ბუნებრივი ან ხელოვნური ხასიათის დაუძლეველი ძალის გარემოების მოქმედებით, რომელთა

დადგომაც მხარეებს არ შეუძლიათ განჭვრიტონ რომელთა შედეგიც მხარეებს არ შეუძლიათ აღკვეთონ მხარეებისათვის ხელშისაწვდომი გონივრული საშუალებებით (ფორს-მაჟორული გარემოება).

7.2. წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისათვის ფორს-მაჟორულ გარემოებად ითვლება გარემოება, რომელიც სცილდება შესაბამისად „მესაკუთრის“ ან „უზუქრუქტუარის“ კონტროლის ფარგლებს (აგრეთვე ორივე მხარის კონტროლის ფარგლებს) და რომლის დადგომა შეუძლებელს ხდის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას. წინამდებარე ხელშეკრულებისათვის ფორს-მაჟორულ გარემოებად აღიარებულია (მაგრამ ამით არ შემოიფარგლება) ომი და საომარი მოქმედებები ომის ფორმალური გამოცხადების გარეშე, აჯანყება/სამხედრო გადატრიალება ან სამოქალაქო არეულობები, ეკონომიკური ბლოკადა, მიწისძვრა, ხანძარი, აფეთქება, ტორნადო/ქარიშხალი, წყალდიდობა ან ცუნამი, გრუნტის მოძრაობა/წავარდნა სამშენებლო ტერიტორიაზე, სხვა სტიქიური უბედურებები. მყიდველისათვის ფორს-მაჟორულ გარემოებად შეიძლება ჩაითვალოს სახელმწიფო მმართველობის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ ისეთი საკანონმდებლო ან სხვა აღსასრულებლად აუცილებელი აქტების გამოცემა, რომელიც შეუძლებელს ხდის საინვესტიციო პროექტის განხორციელებას მთლიანად ან ნაწილობრივ.

7.3. მხარემ რომელსაც შეეხო ფორს-მაჟორული გარემოება, უმოკლეს ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს 10 (ათი) დღისა ასეთი გარემოებების დადგომიდან (ან დღიდან, როცა მხარისათვის ცნობილი გახდა მისი წარმოშობის შესახებ), ვალდებულია აუწყოს მეორე მხარეს ამ გარემოების შესახებ შესაბამისი აღწერით, რაც დადასტურებული უნდა იქნეს შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული სათანადო დოკუმენტაციით. იმ შემთხვევაში, თუკი ასეთი შეტყობინება არ იქნება გაგზავნილი მითითებულ ვადაში, მხარე, რომელმაც დაარღვია ვალდებულებები ფორს-მაჟორული გარემოებების გამო, ვერ შეძლებს გამოიყენოს ასეთი გარემოებები, როგორც პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველი.

7.4. მხარე, რომელსაც შეეხო ფორს-მაჟორული გარემოებები, თავისი ვალდებულებების შესრულებას ხელშეკრულების მიხედვით წყვეტს ასეთი გარემოებების მოქმედებისა და მათი შედეგების ლიკვიდაციის ვადით. ფორს-მაჟორული გარემოებების მოქმედების შეწყვეტისა და მათი შედეგების ლიკვიდაციის დღიდან სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების ვადის ათვლა გრძელდება.

მუხლი 8. სხვა დებულებები

8.1 წინამდებარე ხელშეკრულებაში დამატებები შეიძლება შეტანილ იქნას ან ხელშეკრულების ცალკეული დებულებები შეიძლება შეიცვალოს მხარეთა ერთობლივი შეთანხმებით. ასეთი ცვლილებები და დამატებები ფორმდება როგორც წინამდებარე ხელშეკრულების წერილობითი დამატებითი

შეთანხმებები და ხელმოწერილი უნდა იქნეს მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ და დამოწმდეს ისეთივე წესით როგორც წინამდებარე ხელშეკრულება.

8.2 თუკი წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი პირობა ან დებულება ჩაითვლება უკანონოდ, წინამდებარე ხელშეკრულების ყველა დანარჩენი პირობა და დებულება ინარჩუნებს სრულ ძალას, ხოლო ასეთი უკანონო პირობა ან დებულება (იმისდა მიხედვით, რას აქვს ადგილი) მისადაგებული იქნება შეცვლილ გარემოებებთან, რათა იგი გახდეს ეფექტური, შესრულებადი და წინამდებარე ხელშეკრულების მხარეთა განზრახვების ამსახველი.

8.3 წინამდებარე ხელშეკრულება წარმოადგენს ხელშეკრულების საგანთან მიმართებაში მხარეებს შორის მიღწეულ ყველა შეთანხმების სრულ და ამოწურავ რეზიუმეს და ძალაში შესვლის შემდეგ შეცვლის ყველა და ნებისმიერ ადრინდელ შეთანხმებას მხარეთა შორის ხელშეკრულების საგანთან მიმართებაში.

8.4 ნებისმიერი უწყება ან შეტყობინება, რომელიც ეგზავნება წინამდებარე ხელშეკრულების მხარეს, ჩაითვლება სათანადოდ გადაცემულად, თუკი ისინი გაგზავნილია დაზღვეული საფოსტო გზავნილით ან ჩაბარებულია დადგენილი წესის დაცვით შემდეგ მისამართებზე:

- „მესაკუთრე“: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო, ქ. ბათუმი, კომახიძის ქ. #119.

- „უზუფრუქტუარი“: შპს „აჭარინვესტ-ჩაი“, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი მარადიდი; თითოეული მხარე დაუყოვნებლივ უგზავნის შეტყობინებას მეორე მხარეს მისამართის ან სახელწოდების შეცვლის შემთხვევაში.

8.5 მხარეთა შორის ურთიერთობები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.6 მხარეებს შორის წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ან ხელშეკრულებიდან ან მისი რომელიმე დებულებიდან წარმოშობილი ნებისმიერი დავა გადაწყვეტილ უნდა იქნეს მხარეთა ურთიერთმოლაპარაკების გზით. თუ მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას სადაო საკითხთან დაკავშირებით, აღნიშნული დავა უნდა გადაწყდეს საქართველოს საერთო სასამართლოში მიმართვის გზით მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.7 ხელშეკრულება შედგენილია ხუთ ეგზემპლარად ქართულ ენაზე.

დანართი:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2010 წლის 24 ივნისის N127 ბრძანება;

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2010 წლის 7 ივლისის N524 ბრძანება;
3. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (კომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან შპს "აჭარინვესტ-ჩაი"-ს შესახებ;
4. ამონაწერები საჯარო რეესტრიდან მიწის (უძრავი ქონების) შესახებ №22,23,07,047; 22,23,07,048; 22,23,07,049; 22,23,07,050; 22,23,07,051; 22,23,07,052; 22,23,07,053; 22,23,07,054; 22,23,07,055; 22,23,07,056; 22,23,07,057; 22,23,07,058; 22,23,07,059; 22,23,07,060; 22,23,07,061; 22,23,07,062; 22,23,07,063; 22,23,07,064; 22,23,07,065; 22,23,07,066; 22,23,07,067; 22,32,01,021; 22,32,01,030; 22,32,01,034; 22,23,02,203; 22,32,02,205; 22,32,02,206; 22,32,02,207.

მხარეთა რეკვიზიტები

«მესაკუთრე»

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

ქ. ბათუმი, კომახიძის ქ. №119

«უზუფრუქტუარი»

შპს „აჭარინვესტ-ჩაი“

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი
მარადიდი

ოლეგ ბოლუჯაძე



ნადიმ დიდმანიძე



საქართველო

ქ. ბათუმი

ორი ათას ათი წლის ახილვე იკოში მე, ნოტარიუსს ხათუნა კალანდარიშვილს, ჩემს სანოტარო ბიუროში, მდებარე ქ. ბათუმი, მაზნიაშვილის ქ. №6, მომმართეს ბატონმა ოლეგ ბოლქვაძემ (დაბადებული 1976 წლის 13 მაისს მახარაძეძი, მცხოვრები ქ. ბათუმი, ვაჟა-ფშაველას ქ. №52, ბინა №107; პირადი №33001027316, პირადობის მოწმობა №გ 0889614, გაცემული 31.03.2006 წ. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ბათუმის სამსახურის მიერ) და ბატონმა ნადიმ დიდმანიძემ (დაბადებული 05.08.1964 წ. მცხოვრები ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფ. მარადიდი, პირადი №61006013959, პირადობის მოწმობის №გ 1248190, გაცემული სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ხელვაჩაურის სამსახურის მიერ 19.02.2009 წ.) და განაცხადეს, რომ სურთ დაეუმოწმონ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და შპს "აჭარინვესტ-ჩაი"-ს შორის 2010 წლის 16 ივლისს გაფორმებულ უზუფრუქტის ხელშეკრულებაზე ხელმოწერების ნამდვილობა. მე შევამოწმე მათი ქმედუნარიანობა და დაერწმუნდი, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა.

მე, ნოტარიუსმა შევადგინე წინამდებარე სანოტარო აქტი და განუმარტე მხარეებს, რომ ნოტარიუსი არ შედის გარიგების სამართლებრივ შინაარსში და არ აგებს პასუხს გარიგების სამართლებრივ შედეგებზე, ასევე განემარტათ ის, რომ ნოტარიუსი მხოლოდ ამოწმებს გარიგებაზე ხელმოწერის ნამდვილობის სინამდვილეს და არაა პასუხისმგებელი მხარეთა უფლებაუნარიანობაზე, რის შემდეგ მათ ჩემი, ნოტარიუსის თანდასწრებით პირადად მოაწერეს ხელი წინამდებარე აქტს, რასაც გამოწმობ.

დამოწმებულია 10 ხელწერა 5 ვებკმპლარზე და გადახდილია საზღაური 20 ლარი + 300 ლარი დღგ. აგრეთვე ორი ლარი ელექტრონულ რეესტრში სანოტარო რეგისტრაციის საფასური, თანახმად "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ" საქართველოს კანონის (II იენისი 1998 წ. - №1417 იმ ს) 29-ე, 311-ე მუხლების და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 245-ე მუხლის შესაბამისად;

ნოტარიუსი



ხათუნა კალანდარიშვილი: